საქართველოს სოც.-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტია

დრ. მთავარ კომიტეტის ორგანო.

# სოციალისტ-ფედერალისტი

ხუთშაბათი მარტის 31

ეროვნული ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი:
დამფუძნებელი კრების ქ. № 6
ტელეფონი 12—29

მიიღება ხელის მოწერა
„სოციალისტ-ფედერალისტზე“
სახლში მიტანით გაზეთი ღირს თვეში 1500 მან.

ტფილისის ვაჟთა მეორე გიმნაზიის პედაგოგიური საბჭო ღრმა მწუხარებით აუწყებს ქართველ საზოგადოებას დამსახურებულ მასწავლებლის და ენერგიულ მოღვაწის, გიმნაზიის დირექტორის,

**ილარიონ ტარიელის ძის ლორთქიფანიძის**

გარდაცვალებას. პანაშვიდები ყოველ დღე, საღ. 6 საათზე, საკ. ბინაზე სანაპირო (ნაბერეჟნაია) ქუჩა № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს, მარტის 31-ს საღ. 4 საათზე ვერის წმ. ნიკ. სასაფლაოზე. 7

---

28 მარტს ღამით ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვაჟთა მე-2 გიმნაზიის დირექტორი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

რასაც აუწყებს ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ უზომოდ დამწუხრებული მეუღლე მისი ნატალია ალმასხანის ასული და შვილები: ანიკო ქავთარაძისა, ნინო ცაგარელის თავიანთი ქმრებით, გიორგი და შალვა ლორთქიფანიძეები.
პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე (სანაპიროს) ნაბერეჟნ.), № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს, მარტის 31, საღამოს 4 საათზე. ვერის წმ. ნიკ. სასაფლაოზე. 7

---

28 მარტს ღამით ხან მოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მამა

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, მეგობართ და ნაცნობთ ანიკო ილარიონის ასული და პეტრე ივანეს ძე ქავთარაძეები შვილებით.
პანაშვიდი ყოველდღეს საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე სანაპიროს (ნაბერეჟნ.) ქუჩა, № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს 31 მარტს, საღ. 4 საათზე. 7

---

მარტის 28-ს ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა საყვარელი მამა

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ნინა ილარიონის ასული და მეუღლე მისი ივანე ლევანის ძე ცაგარლები შვილებით. პანაშვიდი ყოველდღე საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე სანაპიროს (ნაბერეჟნ.) ქუჩა, № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს, მარტის 31-ს, საღამოს 4 საათზე, ვერის წმ. ნიკ. სასაფლაოზე. 7

---

მარტის 28-ს ღამით ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ვაჟთა მე 2 გიმნაზიის დირექტორი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

რასაც მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ, ნაცნობთ და მეგობართ ძმები მისი: კონსტანტინე, ბესარიონ და დავით ტარიელის ძე ლორთქიფანიძეები და მეუღლენი მათი: ეკატერინე მელქისედეკის ასული, ფატი გიორგის ასული და ბაბილინა ბეგლარის ასული შვილებით. პანაშვიდი ყოველ დღე საღამოს 6 საათზე თავის ბინაზე სანაპიროს (ნაბერეჟნ.) № 11. დაკრძალვა ხუთშაბათს, მარტის 31-ს, საღამოს 4 ს. ვერის წმ. ნიკ. სასაფლაოზე. 7

---

გულდამწვარი მამიდაშვილი ანნა იაკობის ასული გორგასლიძისა თავისი ქალით ნინოთი აუწყებს ნათესავთ მეგობართ და ნაცნობთ გარდაცვალებას მისთვის ძვირფასი და დაუვიწყარი ბიძაშვილის

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

7

---

გრიგოლ ნიკოლოზის ძე და არეთა ალექსის ასული მიქაშავიძეები ღრმა მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს რომ მარტის 28-ს ღამით გარდაიცვალა მათი საყვარელი ბიძაშვილი

**ილარიონ ტარიელის ძე ლორთქიფანიძე**

6

---

გულ დათუთქულნი მშობლები ნინო და სერგეი, ძმა ალექსანდრე, რძალი სოფიო ძაძამიძეები და მანანა დადიანი ალექსანდრე ძამიაშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი.

**კოლას**

ს. ანანაში გარდაცვალებას 693.

---

## გაზეთ „სოციალისტ-ფედერალისტი“-ს

კანტორა სთხოვს ყველა დაწესებულებებს, რომ გაზეთისთვის მიმართონ პირდაპირ კანტორას, რადგანაც ექსპედიციაში გაიგზავნება მხოლოდ კედლებზე გასაკრავი ნომრები.

---

## სოციალისტურ საქართველოში

4.

**თანამშრომლობის საფუძველი.**

ერთ ჩვენს წერილში შევეხეთ იმ შეთანხმებას, რომელიც საქართველოს შინაური პოლიტიკის ხასიათის შესახებ მოხდა ლენინსა და საქართველოს მთავრობის შორის. მაშინ ყურადღება მივაქციეთ მოლაპარაკების მხოლოდ ერთ მხარეს—სახელდობრ იმას, რომ საქართველოში არ გამეორდეს შაბლონი რუსეთის საბჭოთა აღმშენებლობისა. მაგრამ ამ მოლაპარაკებაში იყო კიდევ ერთი, არა ნაკლებ საყურადღებო მუხლი თანამშრომლობა ისეთს პოლიტიკურ პარტიებთან, რომლებსაც თავიანთი მსოფლ-მხედველობის მიხედვით შეუძლიანთ გაიზიარონ ძირითადი საფუძვლები საბჭოთა აღმშენებლობისა.

ცხადია ლენინს ამ შემთხვევაში აზრადა ჰქონდა პოლიტიკური თანამშრომლობა, რადგანაც პერსონალურადაც კი ასახელებდა საქართველოს ყოფილი მთავრობის თავმჯდომარეს ნოე ჟორდანიას. პოლიტიკური თანამშრომლობა არა ნიშნავს იმ თანამშრომლობას, რომელსაც პარტიის ესა თუ ის წევრი პერსონალურად გაუწევს საბჭოთა დაწესებულებებში. ეს თანამშრომლობა კი არ იქნება, ეს იქნება სამსახური, უპარტიო საზოგადოებისა, რაც არავითარ შემთხვევაში არ შეგვიძლიან შევადაროთ პოლიტიკურ თანამშრომლობას და ასეთს სამსახურს კერძო პირებისას მივსცეთ ხასიათი პოლიტიკური შეთანხმებისა განსაზღვრული, საერთო მიზნების განსახორციელებლად.

არც საქართველოს ეხლანდელი მართველებისათვის და მით უფრო არც თვით ლენინისთვის, რომელმაც იცოდა, რომ რუსეთის წითელი ჯარის დახმარებით უნდა მომხდარიყო გადატრიალება საქართველოში,—საიდუმლოებას არ წარმოადგენს, რომ ასეთ კონკრეტიულ პირობებში ერთბაშად გაკომუნისტება მუშათა და გლეხთა მასებისა ყოვლად შეუძლებელი საქმეა. ამისთანა პირობებში ახალ მართველობას შეეძლოთ, თეორიულად, რასაკვირველია, ან უკიდურესობის გზას დასდგომოდენ და საშუალებებით, რომელთაც გვირგვინსაც უკიდურესი რეპრესიული ზომები შეადგენს, მოეზნიქათ, მოეგრიხათ ყველა ის, ვინც უპირველესად ყოვლისა რუსეთის შაბლონებს ვერ შეურიგდებოდა, რაც იმის შეუძლებელი იქნებოდა, რომ ახალ მართველებს ბრძოლა გამოეცხადებინათ ქართველი ხალხის დიდი უმრავლესობისთვის, ან გამოეძებნათ გზა შეთანხმებისა და პოლიტიკური თანამშრომლობისა ისეთს ჯგუფებთან და პარტიებთან, რომელნიც კომუნისტური პარტიის ყველა თეზისებს არ იზიარებენ, მაგრამ საბჭოთა სისტემის საფუძველზე მუშაობა კი შეუძლიანთ.

ლენინისთვის, როგორც ასეთი ადამიანისთვის, რომელიც ჩვენში არსებული პოლიტიკურ ბრძოლიდან დაშორებული იყო და, მაშასადამე, უფრო ობიექტიურად შეეძლო შეეფასებინა ჩვენში არსებულ ძალთა რეალური განწყობილება, უფრო ცხადი შეიქნა ის პირობები, რომლებშიაც ნორმალურად შეიძლება განვითარდეს და ძომაგრდეს საბჭოთა აღმშენებლობა.

ამიტომ ლენინმა თავიდანვე, მისალოც დეპეშაშივე მიუთითა საქართველოს მმართველებს მეორე გზისკენ და ურჩია გამოძებნა საერთო ენისა ჩვენში მომქმედ პოლიტიკურ პარტიებთან.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ ლენინის წინდახედულ რჩევას სერიოზულ ყურადღებას მიაქცევენ საქართველოს მმართველები და პოლიტიკური თანამშრომლობის საკითხს პერსონალური თანამშრომლობის საკითხად არ გადააქცევენ რადგანაც ამ უკანასკნელ შემთხვევაში მიზანი, რომელსაც ლენინი ისახავდა და რომელსაც საქართველოს მთავრობა იზიარებს, განუხორციელებელი დარჩება.

როდესაც ლენინი თავის დეპეშაში პერსონალურად ნოე ჟორდანიას ასახელებდა, იმან იცოდა, რასაც ამბობდა. მაშინ ის უცქეროდა ჟორდანიას, რასაკვირველია, არა როგორც „სპეციალისტს“, რომლის პირადი შრომაც საჭირო და სასარგებლოა საბჭოთა რესპუბლიკისთვის, არამედ როგორც განსაზღვრული მიმართულების მეთაურს და განსაზღვრული პარტიის იდეოლოგიურ ხელმძღვანელს.

ჩვენ ვფიქრობთ, რომ დროა საქართველოს ეხლანდელმა მმართველებმა მოახდინონ რეალიზაცია ლენინის რჩევისა და გადადგან კონკრეტიული ნაბიჯები იმ საერთო პლატფორმის შესამუშავებლად, რომელიც შესაძლებლად გაჰხდის მოსკოვიდან ნაკარნახევი გზით სიარულს.

პოლიტიკურ თანამშრომელთა სწორედ ასეთი საერთო პლატფორმის გამოძებნასა და შემუშავებას მოითხოვს. რა თქმა უნდა, საერთო პლატფორმა იძულებულ ჰყოფს როგორც კომუნისტურ პარტიას, ისე იმ პარტიებს, რომელშიც კომუნისტურ პარტიასთან შეთანხმებულად მოქმედებას მოისურვებენ, ბევრი რამ თავიანთი პარტიული შაბლონიდან დასთმონ. მაგრამ ეს დათმობაც კომუნისტური პარტიისთვის უკვე ნაკარნახევი არის ლენინის მიერ.

გარდა ამისა, საქართველოში ისეთი პირობებია შექმნილი, სასურსათო და სამრეწველო საქმეები, რომელთა შესახებაც დაწვრილებით სხვა დროს გვექნება საუბარი, ისეთს მდგომარეობაშია, რომ მხოლოდ ყველა სოციალისტურ ძალთა კოორდინაციით მოხერხდება მოხერხდება მოსალოდნელია მძიმე კრიზისების ძლევა.

ჩვენ ვიმედოვნებთ რომ კომუნისტური პარტია პასუხისმგებლობის სრულის შეგნებით ასწონ-დასწონის შექმნილ მდგომარეობას და არ გადასდგამს ასეთს ნაბიჯებს, რომლებიც ერთის მხრით ლენინის მიერ ნაკარნახევ გზას დაგვაშორებს და მეორეს მხრით საბოლოოდ დაანგრევს ჩვენს ისედაც აწეწილ-დაწეწილ სახალხო მეურნეობას.

**მ. თუხვენარი.**

---

## ფურცლები

4.

**პარტიის გაწმენდა.**

26 წელიწადია რაც არსებობს ფორმალურად ჩამოყალიბებული სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია ძალიან გარკვეული ეროვნულის იდეოლოგიით, ეროვნულის მისწრაფებებით და ყოველ ქართველს შეუცდომლად შეუძლიან აღიაროს, რომ ჩვენს პარტიას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის ამ აზროვნების და შემოქმედების სფეროში.

მაგრამ ჩვენთვის ისიც სრულიად აშკარაა, რომ მძლავრი ლიტერატურული კამპანიის მიუხედავად, ჩვენი პარტია დღესაც ინტელიგენციის პარტიაა უმთავრესად, თუმცა ჩვენი პარტია ამ ბოლო დროს ძლიერ უკავშირდება წმინდა მუშათა და გლეხთა ორგანიზაციებს.

რაშია საქმე, რომ ჩვენი პარტიის ზრდის პროპორცია არ შეეფერება პარტიულ თეორიის ძალას? რაა მიზეზი დისპროპორციის?

ჩვენ აშკარად უნდა ვაღიაროთ, რომ დიადმა ეროვნულ პრინციპების წამოყენებას იმდენად დიდი გავლენა ქონდა მთელი ხალხის სხვა და სხვა წრეებზე, რომ მან პარტიაში თავი მოუყარა სრულიად სხვა და სხვა ჯურის ძალებს რომელთაც ეროვნული პრობლემა იმდენად აერთებდა, რამდენადაც ახსხვავებდა სოციალური პრობლემა.

ჩვენი პარტიის ისტორიას რომ ვიხილავთ იმასაც ვამჩნევთ, რომ პარტიის სოციალისტური თეორია, მთელ რიგ პირობების გამო, სრულიად არ იყო გამოხატული პარტიის სოციალისტურ შემადგენლობით და ეს განსხვავება თეორიასა და მასსას შორის, პარტიის ფიზიკის სხვაობა ქმნიდა პოლიტიკო-სოციალ აზროვნებაში ოპორტუნიზმის ნიადაგს, მერყეობას, გაურკვევლობას რისთვისაც მთელი პარტიის შემოქმედება მასისათვის გაუგებარი ხდებოდა.

პარტიის პოლიტიკური სიცოცხლე თანამედროვე პირობებში მაინც იმდენად შეიძლება შეიქმნეს მასის სიცოცხლედ, რამდენადაც პარტიის ყოველივე აზრი, დებულება, მიზანი დღესავით ნათელი, აშკარა, გასაგები და ხალხისათვის მისაღები იქნება.

პირადად ჩემთვის ჩვენი პარტიის მთელი პრაქტიკა მეტის მეტად ცნობილია, ჩვენ ვიცნობთ ჩვენი პარტიის ყო-

ხუთშაბათს, მარტის 31, საღამოს 6 საათზე
ნაძალადევის მუშათა კლუბში
რკინის გზის მუშა-მოსამსახურეთა
სოციალისტ-ფედერალისტთა სარევოლიუციო პარტიის ორგანიზაცია იწვევს

# მუშა-მოსამსახურეთა კრებას

რომელზედაც მოხსენებას გააკეთებენ ამხანაგები:

## პროფ. შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი

თანამედროვე მდგომარეობის შესახებ. ასეთივე კრებას მართავს **სახელმწიფო და საზოგადო დაწესებულებების** მუშა-მოსამსახურეთა სოც.-ფედერალისტთა ორგანიზაცია კვირას, აპრილის 3-ს დილის 11 საათზე ქართული დრამის (არტისტიული) თეატრში, მომხსენებელნი არიან

## ამხ. პროფ. შალვა ნუცუბიძე და თედო ღლონტი.

პარასკევს, აპრილის 1-ს საღ. 6 საათზე, საქ. სოც.-ფედ. **ფარმაცევტთა ორგანიზაცია** საქართველოს მასწავლებელთა კავშირის ბინაზე (ქართული კლუბი) **იწვევს ფარმაცევტთა კრებას.** მოხსენებას გააკეთებს პროფ. **შალვა ნუცუბიძე.** ასეთივე კრებას მართავს **არსენალში მომუშავეთა** სოც.-ფედ. ორგანიზაცია შაბათს აპრილის 2 საღამოს 6 საათზე არსენალის კლუბში.

---

ველ ნიუანსებს, მის ყოველ წვრილმანს და მსხვილმანს და შეგვიძლიან განვაცხადოთ, რომ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტია თან და თან იწმინდებოდა ამ ბოლო დროს ყალბი ოპორტუნისტულ — ბურჟუაზიულ ელემენტებიდან. პარტია ხდებოდა უფრო მტკიცე პრინციპიალ ნიადაგზე, პარტია თან და თან მასიური ხდებოდა მუშებში, პროლეტარულ ელემენტებში. ვიმეორებ, ეს პროცესი ჩემთვის თვალსაჩინოა, მაგრამ ეს პროცესი არ დამთავრებულა ჯერ კიდევ, ჩვენს პარტიის წევრთა კუნჭულებში ჯერ კიდევ არ აღმოფხვრილა ოპორტუნიზმის ნაწილები და დღეს ჩვენი, მოღვაწეობის უმთავრესი საქმეა პარტიის გაწმენდა ერთის მხრივ, ოპორტუნიზმის თავიდან მოშორება მეორეს მხრივ.

პარტიის წევრების რეგისტრაცია ერთის მხრივ, პარტიის გენერალური გაწმენდა მეორეს მხრივ—აი რა უნდა მოვახდინოთ დღეს ჩვენ სასწრაფოდ და გადაჭრით.

ჩვენ არ შეგვიძლიან პარტიაში თანამშრომლობა გავსწიოთ იმათთან, რომელთათვის ჩვენი პარტიული ნათესაობა ისაზღვრება მხოლოდ ნაციონალური პრობლემით. არა, ჩვენი ორი დიდი პრინციპი გვაქვს პარტიულს დროშაზე დაწერილი: ერთია ეროვნება, მეორეა სოციალიზმი. შეუძლებელია ამ ორი მთავარი პირობის გათიშვა, ეს იქნებოდა დაფუნგვა მთელი ჩვენი მსოფლმხედველობის, ეს იქნებოდა დაქუცმაცება მთელი ჩვენი არსების. ის ვინც გარდუვალად სდგას ამ ორს პრინციპის სინთეზზე— ჩვენი განუყრელი მეგობარია პარტიაში, ის ჩვენთან იქნება და გასწევს პარტიულს მუშაობას. მხოლოდ ეს სოციალისტური მასსა მოგვცემს ჩვენ ოპორტუნიზმის ალაგმის საშუალებას პარტიაში, მხოლოდ სოციალისტურ მასსას აქვს პარტიული დისციპლინის და მოვალეობის შეგნება, ამიტომ მხოლოდ ეს მასსა შეგვიძლიან ჩვენ შევინახოთ პარტიაში.

ეს არის ჩვენი მორიგი საქმე. ჩვენ ძალიან კარგად ვიცით, პარტიის ამ გენერალურ გაწმენდის პროცესს ასე ადვილად ვერ დავამთავრებთ, ბევრი კბილებით ჩაეჭიდება ძველს ტრადიციას, შეყვარებულ პარტიის ჩარჩოებს, მაგრამ ჩვენ პარტიის გაწმენდის ერთ მომენტად კიდევ უნდა წამოვაყენოთ ერთი მთავარი პოლიტიკური მოსაზრება, რომელიც ძალიან ხელს შეგვიწყობს როგორც პარტიულ სახეობის ჩამოყალიბებაში, ისე პარტიის ძალების განწმენდაში. ეს მომენტი არის ორიენტაციის პრობლემა.

ორიენტაციის საკითხი ყოველთვის არ არის მსოფლმხედველობის საკითხი. არის მომენტები, როდესაც ორიენტაციის საკითხი უბრალო ეროვნულ-კულტურულ მიზნებით ისაზღვრება. ინგლისს-გერმანიის ბრძოლის პროცესში ჩვენი სიმპატიები გერმანიის მხარეს იყო, თუმცა გერმანიას ხელმძღვანელობდა კაიზერი სრულიად ისეთი, როგორიც ჰყავდა ინგლისს. მაგრამ როცა ბრძოლის პროცესის გაღრმავება ჩვენ წინ აყენებს უდიდეს საკითხს: სოციალიზმი თუ იმპერიალიზმი, მარტივად— რუსეთის რევოლიუცია თუ ანტანტა— ჩვენ ამ დროს ორიენტაციის საკითხი უკვე მსოფლმხედველობის საკითხად მიგვაჩნია, ვინაიდან სასწორზეა დადებული არა კულტურული საკითხები, არამედ სოციალიზმი მთელი თავისი ატრიბუტებით.

ჩვენ სრულებით არ გვაშინებს ის ფაქტი, რომ ჩვენი პარტიის მასაში ამ ძირითად საკითხის გარშემო დიდი კამათია გაჩაღებული, ძალიან სასიამოვნო მხოლოდ ის არის, რომ ორიენტაციის საკითხის ისე კადაჭრას, როგორც ეს ნ. ჟორდანიას პარტიამ გადაჭრა—ჩვენში გასავალი არ აქვს. მენშევიკებმა რუსეთის რევოლიუციას ჯვარი დაუსვეს და სავსებით მიეკედლენ ანტანტას. ჩვენს პარტიაში ასეთი ისტორიული დანაშაულის აქტი არა თუ არ მომხდარა, პირიქით, ამ მხრივ არავის არ გამოუთქვამს უბრალო აზრი და სურვილიც. მიუხედავად ამისა ჩვენს წრეებში ამ ძირითად საკითხის გარშემო მაინც არის ოპორტიუნისტული აზრები, მიკიბულ-მოკიბული მსჯელობა და დროა ეს ორჭოფობა საბოლოოდ აღმოიფხვრეს.

ჩვენი პარტიის ბევრი წევრისათვის უკვე რწმენაა, რომ ბოლშევიკებსა და ანტანტას შორის ატეხილი ბრძოლა დამთავრდება ბოლშევიკების სასარგებლოდ. მაგრამ მარტო ეს რწმენა კი არ გვაიძულებს ჩვენ დავიჭიროთ რუსეთის რევოლიუციის ორიენტაცია. ღრმად რომ ვიყოთ დარწმუნებული, რომ რუსეთის რევოლიუცია ვერ გაიმარჯვებს ანტანტასთან ბრძოლაში, ჩვენთვის რომ სადმეც არ იყოს შავი ბურუსით მოფენილი მომავალი ჩვენი ცხოვრება, სადაც ჩვენს ხელებს და ფეხებს სოციალისტური ლენტების ნაცვლად შემოერტყმებიან დაჯანგული ბორკილები—აი ასეთ მომავლის რწმენის დროს ჩვენ მაინც გარკვეულად უნდა ვიზიარებდეთ რუსეთის რევოლიუციის მიზნებს და რუსეთის რევოლიუციის დამარცხება მიგვაჩნდეს ჩვენი საქმის დამარცხებად.

სხვა დამოკიდებულება თანამედროვე საკითხისადმი ჩვენი პარტიის წევრს არ შეუძლიან ქონდეს. ჩვენ იდეით და მდგომარეობით კი არ უნდა ვაპრობდეთ, არამედ განსაზღვრული იდეა, მთავარი პრობლემა ურყევლად მიგვაჩნდეს და მისთვის ყოველ დღე ვქმნიდეთ ხელსაყრელ პირობებს.

ასეთია ჩვენი პოლიტიკა. სოციალისტურ მასსას მხოლოდ ამ გვარად დასმული საკითხი გაეგება, მხოლოდ ასეთ დებულებს იზიარებს ხალხი და ჩვენც ყოველგვარი სხვა დებულება, საბოლოოდ უნდა მოვაშოროთ ჩვენს პარტიას.

ყოველი მერყეობა ამ მხრივ ჩვენ მიგვაჩნია პარტიასთან ურთი-ერთობის საკითხის დასმად და ის, ვინც მტკიცედ, გარკვევით და კატეგორიულად არა სდგას სოციალისტურ ორიენტაციის ფრონტზე, კონკრეტიულად: ვინც ანტანტის წინააღმდეგ არ იზიარებს საერთოდ რუსეთის რევოლიუციის მიზნებს, ვისაც ეს მიზნები არ მიაჩნია კაცობრიობის მხსნელ მიზნებად—ის მოღალატეა ჩვენი პარტიის ერთ უმთავრესი დებულებისა— სოციალიზმისა და როგორც ასეთი ერთ წუთსაც ვერ დარჩება სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიაში.

თედო ღლონტი.

# სომხეთში

28 მარტის ოპერატიული ცნობა.

ერევნის მიმართულება. წითელმა ნაწილებმა გარეკეს დაშნაკები სოფ. იაილი და სომხეთის ბამბაკიდან. მოწინააღმდეგე უკან იხევს. გაიარეს რა დიდი თოვლით დაფარული სიპტაკის და კარტნავის (ბამბის) უღელტეხილები. წითელმა ნაწილებმა დაიჭირეს სოფ. ქურთების ბამბაკი და ჩობან კარაკმაზი. შეტევა გრძელდება.

ელენოვკა-ერევნის გზაზე წითელმა ნაწილებმა დაიჭირეს ყარაჯორანი, ნურნუზი, აშირბანი, ნოვო ნიკოლაევკა და აწარმოებენ შეტევას ეილიარზე. (ჩრდილოეთით 14 ვერს. ერევნიდან).

ახალ ბაიაზეთის მხრიდან წითელი ნაწილები აწარმოებენ ნაყოფიერ შეტევას სოფ. ფრანოსზე.

# კომუნიზმი და ეროვნება.

კომუნაც ისევე, როგორც სხვა რომელიმე საზოგადოებრივი წესწყობილება, ვერ წარმომიდგენია ეროვნებით გარეშე, ეროვნება კიდევ ფიზიკური ბუნების გარეშე.

როგორც ფიზიკურ ბუნებას ე. ი. ამა თუ იმ ნაწილს დედამიწისას შეუქმნია ესა, თუ ის ეროვნება თავთავისი საკუთარი ენით, ფსიხიკით, თუ სხვა რამ თვისებით განსხვავებული, ისევე თვითეულ ეროვნებას შეუქმნია ესა, თუ ის საზოგადოებრივი წესწყობილება, მაშასადამე თვით კომუნალი სახეც ცხოვრებისა, აღბეჭდილი თავისი ინდივიდუალობით.

კომუნალი რეჟიმი გულისხმობს საზოგადოების კლასთა შორის ბრძოლის დასრულებას მშრომელთა მასის გამარჯვებით მათ და წინააღმდეგ, ვინც არ ჰხნავდა, არ სთესდა, ჰანაჩულს კი შინ ეზიდებოდა, ვინც სხვისი ნაოფლარით და მისი სარგებლით სცხოვრებდა. როდესაც სოციალისტებმა სთქვეს, პროლეტარს სამშობლო არ აქვსო და დაიძახეს, პროლეტარებო ყველა ქვეყნებისა, შეერთდითო, ამით იგულისხმებოდა არა მშრომელთა მასათ დენაციონალიზაცია, როგორც ეს სწრაფვიან სოციალისტ-იმპერიალისტები არამედ ის, რომ პროლეტარიატი—მშრომელი მასა თავის სამშობლოში, თავის მამულში ბედმწირად გადაქცეულიყო. გაბატონებული კლასები მათ არაფერს ეკითხებოდა ქვეყნის ბედისას ხშირად ჰოპხდებოდა, რომ მათ თავს ერთმანერთს სტაცებდნენ, როგორც მაგალითად ფეოდალთა ერთმანერთის და მეფის წინააღმდეგ ბრძოლაში, ხან კიდევ სხვა სახელმწიფოებსაც უფეშქაშებდნენ. რა საკვირველია ასეთ ყოფაში ჩაგდებულ პროლეტარს სამშობლო არ ჰქონდა და საჭირო შეიქმნა ხანგრძლივი მუშაობა თავის გამოდებით, თავის გაწირვითაც, რომ პროლეტარს დაკარგული სამშობლო ეყიდა. მერმე როდის და როგორ იპოვიდა? როცა გაბატონებულ კლასებზე გაიმარჯვებდა, თავის ნაშრომ —ნაოფლარს დაპატრონებული და გამოაცხადებდა დიქტატურას. ლოზუნგიც—პროლეტარებო ყველა ქვეყნებისა, შეერთდითო—იმ სანეტარო გარემოების საყვირი იყო და არის დღესაც, რადგანაც ჯერ კიდევ დიდი დრო და დიდი ბრძოლა არის საჭირო პროლეტარობის ყოველ ქვეყანაში გამარჯვებისთვის.

შეერთება ყველა ქვეყნებისა პროლეტარებისა სხვაფრივ გაუგებარია, რადგანაც თვითეული ქვეყნის პროლეტარები უპირველეს ყოვლისა თავიანთი ქვეყნის შვილები არიან. ცალცალკე მათი გამოსვლა თავისი ქვეყნის კაპიტალიზმის წინააღმდეგ საბრძოლველად იმ დროსვე იქნება საერთო გამოსვლაც მსოფლიო კაპიტალიზმის დასამხობად. აი სწორედ ამისთვის უნდა შეერთდნენ პროლეტარები ყველა ქვეყნებისა და არა იმისთვის, რომ წითელი იმპერიალისტების სურვილისამებრ დაერივნენ ერთმანეთს და ერთი ქვეყნის ძლიერმა პროლეტარიატმა ჩაიგდო ხელთ მეორე ქვეყნის სუსტი პროლეტარიატი და იოუსპოს ყოველი ლონისძიება, თავისი დიქტატურა თვითვე აწარმოოს და კომუნა განავითაროს თავისი ეროვნული ინდივიდუალობის, თავისი კულტურული თავისებურობის შეფარდებით ცხოვრების გარემოებათადმი.

დღეს ჩვენ მივდივართ კომუნიზმისაკენ. ცხოვრების სახელმძღვანელოდ გამოგვიცხადებია კომუნა, რომელიც ნიშნავს ერთობას, საერთოს, როცა ცალკეობა და საცალკეო აღარაფერია და ყველაფერი კრებულის ანუ კოლექტივის სასარგებლოდ გადაქცეულა. ასეთი წესი საზოგადოებრივი ცხოვრებისა, როცა კოლექტივის სარგებლობა უფრო მაღლა სდგას კერძო პიროვნებისაზე, ერთგვარი ნაყოფია სულთა სწრაფვისა იმ იდეალისადმი, რომელიც ავალებს კაცს მოძმის სიყვარულს, როგორც თავისი თავისას ასე, რომ თუ ორი პერანგი მოეპოება, ერთი მისცეს მოძმესა, რომელსაც ერთიც არ გააჩნია.

აი ასეთია წმინდა გრძნობა უშურველობისა მოძმისადმი. მაგრამ შეიძლება განა იმპერიალიზმის დროს სოციალისტური სათნოების დამყარება კაცთა შორის? ვინ არის და რა არის თავდები იმისა, რომ ერთობა და საერთო გაგებულ იქნეს ისე, როგორც ესაჭიროება ჭეშმარიტად თავისუფალ პროლეტარიატსა. განა ეროვნული უმცირესობანი, რომელნიც რუსეთის ტერიტორიაზე მოსახლეობენ, ბედავენ ლაპარაკს, რაკი რუსეთში კომუნა შემოვიდა, რუსეთი აღარ არსებობსო? ვერა, რასაკვირველია. საქართველოში კი ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებისთვის ასეთი ლაპარაკი შესაძლებელი გამხდარა საჯაროდაც კი. საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკის მთავრობა თუმცა შედგენილობით ქართულია, ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენელნი არა სთვლიან მაინც ისეთ მთავრობად, რომელიც მოწოდებულია დაიცვას ქართველი ხალხის სუვერენული უფლება და ყოველ შემთხვევაში, როგორც მაგალითად, მოხდა დედაქალაქის მასწავლებელთა უკანასკნელ კრებაზე, სიტყვით და საქმით უარ ჰყოფენ მთავრობის დეკლარაციას, რომ საქართველოს დამოუკიდებელ საბჭოთა რესპუბლიკაში სახელმწიფო ენა ქართულია, რომლითაც უნდა სწარმოებდეს სახელმწიფო და საზოგადო ცხოვრებაში მართვა გამგეობის საქმე. დიახ ადგილი აქვს ისეთ არა სოციალისტურ გამოსვლას მაშინ, როცა ორატორს ნება ეძლევა რუსულად ლაპარაკისა თუ სახელმწიფო ენა არ იცის და ქართული სიტყვა ითარგმნება რუსულად. დედაქალაქის მასწავლებელთა უკანასკნელი კრება სრულიად არ ჰმოწმობს იმას, რომ საქართველოს ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს ამოძრავებდეს წმინდა სოციალისტური გრძნობა. პირიქით, მოგვაგონებენ გუგულებს რომელნიც თავმოკლულ ამირანის გვამს დასჩხაოდნენ, მაგრამ უსამართლომა ძურწა ბალახის წასმით გააცოცხლა თავისი საყვარელი.

თუ საქართველო მართლა მომკვდარა, როგორც ჰგონიათ ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლებს, ჩვენმა რევოლიუციონურმა მთავრობამ იმათ უნდა დაუმტკიცოს, რომ საბჭოთა სისტემა მის ხელში სწორედ ძურწა ბალახია უსამართლოსა, ხოლო საქართველოს სიკვდილი იქმნებოდა აგრეთვე სიკვდილი მის ეროვნულ უმცირესობათათვის.

ა. მ.

# კრაპოტკინი და კომუნისტები

გაზ. „პრავდა"-ს მოაქვს მეხინის ცნობები კრაპოტკინის დამოკიდებულების შესახებ კომუნისტებთან. 1918 წლის დეკემბერში კრაპოტკინის სწერდა: „მართალი უნდა ვსთქვათ: კომუნისტები— ნამდვილი სოციალისტებია. იმათ სინამდვილეში დაამტკიცეს კაპიტალის უღლიდან მუშათა კლასის განთავისუფლების და სოციალურ რევოლიუციის მოხდენის შესაძლოება".

1919 წელში კრაპოტკინი სწერდა: „მართალია, სოციალ-დემოკრატები ოცნებობდნენ სოციალურ რევოლიუციას, მაგრამ შორეულ ყუთში ათავსებდნენ, იმათ ეგონათ, რომ ამისათვის ხალხი ჯერ კიდევ არ არის მომზადებული. ბოლშევიკებმა თავი გაანებეს თამაშს და სიტყვიდან საქმეზე გადავიდნენ, ამაშია მათი დიდი დამსახურება".

სხვა წერილში კრაპოტკინი სწერდა: „ბოლშევიკების საქმე ყოველთვის იყო ყველა მშრომელთა საქმედ. ყველა, ვისთვისაც ძვირფასია რევოლიუცია დაუყონებლივ უნდა დაეხმარონ რუსეთის რევოლიუციონერებს და მონაწილეობა მიიღოს მათ დიადს ბრძოლაში, სულითა და გულით ვწუხვარ, რომ მოხუცი, დაუძლურდი და არ შემიძლია აქტიური მონაწილეობა მივიღო რუსეთის რევოლიუციაში".

ლენინის ნახვის შემდეგ კრაპოტკინი სწერს: „უნდა გამოვტყდე, მე მოხარული ვარ ვლადიმერ ილიას ძესთან შეხვედრას. ლენინს ყველა ღირსება აქვს რევოლიუციის მესვეურისა, მისმა ურყევლმა რწმენამ თავის საქმის სიმართლისა—მე გამამხნევა, მწამს, მტკიცედ მწამს, რომ მის მიერ დაწყებული საქმე გამარჯვებით დამთავრდება".

1919 წლის ზაფხულში მუხინს უნდოდა კრაპოტკინი საზღვარგარედ წაეყვანა. ამისათვის კრაპოტკინს უთქვამს: „ვერ წავალ, ძვირფასო, მთელს ჩემს სიცოცხლეში ვოცნებობდი [illegible] რევოლიუციურ რუსეთში. ჩემი ცხოვრების ბოლოს [illegible] ცხოვრებით".

# ორ მალხაზს ვსტირი...

ხშირად არის ადამიანის ცხოვრებაში ისეთი განწყობილება, რომ მისი გარშემორტყმული პირობები მასში იწვევს აუწერელ მძიმე მდგომარეობას და, თუ მას რაიმე აზრების ალიუსხვა სურს, გრძნობები წინ უსწრებენ და სურვილს ალრჩობენ.

სასოწარკვეთილებაში მაგონდება იმ ორი მალხაზ შეგვარდენის მოგონება, რომლებიც უშურველად გამოდიოდნენ იბრძოდნენ საერთო საქმისათვის და დღეს კი სამუდამოთ შესწყვიტეს და დასტოვეს სამოქმედო ასპარეზი...

პალიკო ბეშკენაძის დაკარგვით მძიმე მწუხარებს განვიცდიდი მე და ყველა მისი იდეური, თუ არა იდეური, მეგობარი ამხანაგები და მას შალვა ტურაშვილიძეც დაემატა...

მახსოვს. როდესაც დემოკრატიული რესპუბლიკის ჯარი უკან იხევდა, შალვა ტურაშვილიძე ხაშურში შემხვდა და თვალცრემლიანმა მითხრა: „რადგან დირს, ბიჭო, ჩვენი სიცოცხლე, როდესაც ჩვენი პალიკო აღარა გვყავს: ან როგორ შეურიგდეთ ამ მოვლენას, რომ მომიტაცა უფეხოთ ვენახოთ?! უნუგეშოა უნუგეშო ჩვენი მდგომარეობაო მითხრა ეს და მის თვალებს მოსწყდა ცრემლები.

ჩვენი საჩუმე ბოლოს მატარებლის კივილმა დაარღვია გადავკოცნეთ ერთმანეთი, მე ჩემს ეშელონისკენ წავედი და მან თავის გზას გაუდგა, ის ბათომისაკენ გაემგზავრა და მე კი ქუთაისისაკენ გავყევი ჩემს ნაწილს... და ამ დაშორებამ, ჩვენ ერთმანეთს სამუდამოთ დაგვაშორა...

წელს ნოემბრის რიცხვებში „სოციალისტ-ფედერალისტთა ერთი ჯგუფის ახალგაზრდათა აკადემიური წრე" ჩამოყალიბდა. ამ მცირე წრეს სარჩულად, მეცნიერების ყოველი დარგის საფუძვლიანათ შესწავლა ედვა—პარტიის მსოფლ მხედველობასთან შეფარდებით. აი აქ უნდა გენახათ თქვენ ეს ორი მალხაზი, როგორი გატაცებით, მთელი თავიანთი ენერგიით და გატაცებით მუშაობდნენ. წრეში მუშაობის დროს ყოველი ადამიანი მათ ნაზიერ თვალებში ამოიკითხავდა, რომ ისინი ახალგაზრდური ცეცხლით ღვივოდენ და ეს, ყველაფერი მათზე მომავლის იმედებით, აგავსებდათ და საერთოთ კი ყოველ მათ დადებით მხარეებს თვალწინ გადაგიშლიდათ.

პირველი რეფერატი პავლეს უნდა წაეკითხა...

მეორე მე...

მესამე შალიკოს და ასე სხვებს...

ყველანი გატაცებით ველოდით დანიშნულ დღეს, მაგრამ სურვილი და მოლოდინით ომმა გაგვიქრო, რადგან მან სამი დღით ადრე მოგვისწრო.

დავემშვიდობეთ ერთმანეთს, წრის წევრები და გავექანეთ მოვალეობის ასასრულებლათ იმ იმედით, რომ ბრძოლის ველიდან დაბრუნებულებს ისევ ჩვენს საყვარელ წრეში მუშაობა მოგვიხდებოდა, მაგრამ ამათო... ვინ სად არის არ ვიცით. ორი საუკეთესო, სულის ჩამდგმელი ამხანაგი აღარა გვყავს...

ვსტირი და ვსტირი ცხარე ცრემლებით სპეტაკ მეგობრებს...

ა. ბ—ა.

# ახალი ამბავი

— გრუზაგიტსტას მოქმედება პროვინციაში. შაბათს 27, ამა თვეს წასული გრუზავროსტას საგიტაციო ჯგუფი ტელეფონით იუწყება შემდეგს: გორში დაარსდა განყოფილება. გამოვიდა გაზეთები ქართულ და რუსულ ენებზე. აკრავენ პლაკატის პოამბეს. მცხოვრებნი დიდის ინტერესით ეპყრობიან განყოფილების მოქმედებას. სადაც პლაკატებია მთელ დღეს ხალხი გროვდება. დიდი შთაბეჭდილება მოახდინეს კონცერტ-მიტინგმა და ცოცხალმა გაზეთებმა. გარშემო დიდი სოფლები აწყობენ აგენტ პუნქტებს. ინფორმაცია ალწევს სულ ყრუ კუთხეებსაც.

— **მუშაობა საბჭოთა დაწესებულებებში.** საქართველოს რევკომის დადგენილების თანახმად, რადგანაც საათის ისარი გადაიწევა ერთი საათით უკან, პირველ აპრილიდან ყველა საბჭოთა დაწესებულებებში მუშაობა უნდა სწარმოებდეს დილის 9 საათიდან დღის სამ საათამდე.

— **მიტინგი.** კვირას, მარტის 27, დუშეთში სამაზრო რევკომის ინიციატივით შესდგა გრანდიოზული მიტინგი, რომელსაც დაესწრნენ ტფილისიდან ჩამოსულნი საგუბერნიო მილიციის უფროსი ტრაპაიძე და მისი თანაშემწე იობიძე. მიტინგმა ჩაიარა დიდი ენტუზიაზმით. გამოტანილ იქნა რეზოლიუცია, რომელშიაც დამსწრენი ესალმებიან საქართველოს რევკომს და ფიცსა სდებენ, რომ არავის დაუთმობენ მოპოვებულ მუშურ-გლეხურ ხელისუფლებას. ამხ. ტრაპაიძე, რომელმაც შემოიარა მთელი დუშეთის მაზრა, იუწყება, რომ მთელ მაზრაში სუფევს სამაგალითო წესრიგი და განსაცვიფრებელი შეგნება იმ მომენტისა, რომელსაც განვიცდით ეხლა.

— **ქალაქის მიწების დათესვა.** ქალაქის რევკომის კომუნალურ განყოფილების წინადადებას, თავისუფალ მიწების იჯარით აღების შესახებ, გამოეხმაურა ბევრი მსურველი. იმედია, რომ ყველა თავისუფალი მიწები კალაქის ფარგლებში, წელს დათესილ იქნება. სამწუხაროთ, კომუნალურ განყოფილებას არა აქვს საშუალება მიწის დამუშავების მსურველებს დაეხმაროს თესლეულობით და სასოფლო სამეურნეო იარაღებით.

**რკინის გზელთა დაბრუნება სამსახურში.** გზების უფროსმა კაცინაძემ დეპეშით აცნობა რკინის გზებს, რომ ყველა დაბრუნებულმა აგენტმა, რომელსაც სურს განაგრძოს სამსახური, უნდა შეიტანოს სათანადო განცხადება თავის უფროსთან, რომელიც გადაეცემა სარეგისტრაციოთ და მოსახსენებლათ სამსახურის და განყოფილებების კომისართა სათათბიროს. განცხადებებში უნდა აღნიშნული იყოს, რა თანამდებობა ეჭირა მთხოვნელს საბჭოთა ჯარების შემოსვლის დროს, როდის დაბრუნდა, რას აკეთებდა სამსახურში არ ყოფნის დროს და აგრეთვე რომელ პარტიას ეკუთვნის საგანგებო სათათბიროს გადაწყვეტილებამდე აღნიშნულ მოსამსახურეთ შეუძლიან შეუდგნენ დროებით თავის თანამდებობის ასრულებას.

— **მხატვრულ-თეატრალური კომისია,** 28 მარტს გრუკავროსტაში შესდგა პირველი სხდომა მხატვრულ-თეატრალურ კომისიისა. დაესწრნენ კომისიის წევრი ამხ. არაყიშვილი, რობაქიძე, ჰიაურელი, აბაშიძე და გრუკავროსტას თეატრალურ განყოფილების გამგე ამხ. ტარუმოვი. სხდომაზე გამოირკვა, რომ აუცილებლად საჭიროა დაუყოვნებლივ ეთხოვოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. მახარაძეს, რათა მელიქ-აზარიანცის სახლში მოთავსებული თეატრი სრულიად გადაცემულ იქნას „სატირ-აგიტის“ განკარგულებაში.

ამხ. მახარაძესთან მოსალაპარაკებლად არჩეულ იქნენ ამხ. ჰიაურელი, ვ. აბაშიძე და გუნია. ამავე სხდომაზე გადაწყდა გაიხსნას თეატრი „სატირ-აგიტ“-ი მომავალ კვირის დასაწყისში. პირველი ქართული სპექტაკლი „სატირ-აგიტში“ განზრახულია ოთხშაბათისთვის. ამხ. ჰიაურელის მოხსენებიდან გამოირკვა, რომ ქართულ „სატირ-აგიტის“ შემადგენლობაში შედიან ქართულ დრამის საუკეთესო ძალები. კონფერანსიე გამოვლენ ამხ. ჰიაურელი, ზარდალიშვილი, პაოლო იაშვილი და სანდრო ყანჩელი. ორივე სექციათა რეპერტიცეები ქართულის და რუსულისა სისწრაფით ხდება. თეატრის გახსნა განზრახულია სამშაბათს, მარტის 5.

— **ხელოვნების მუშაკთა დღე.** ყველა თეატრების წარმომადგენელთა კრებაზე, რომელიც მოწვეული იყო მუშაკთა გამგეობის მიერ, გადასწყდა ორშაბათს, აპრილის 4 ს გაიმართოს ხელოვნების მუშაკთა დღე. ამ დღეს ყველა თეატრებში გაიმართება საზეიმო წარმოდგენები ყველა მსახიობთა მონაწილეობით. მთელი წმინდა შემოსავალი გადაეცა ხელოვნების მუშაკთა განკარგულებაში.

— **სინათლის გაზეთი ეკატერინოფელდში.** ეკატერინოფელდში დაარსდა სინათლის გაზეთი. დღეს, მარტის 27-ს პირველი დემონსტრაცია მოხდა სინათლის გაზეთისა.

— **ქონების აღრიცხვა ბათომში.** სამხედრო და სამოქალაქო ქონებათა აღრიცხვის საგანგებო კომისიის ბრძანებით დანიშნულია სპეციალური ქვეკომისია, რათა აღრიცხული, მოვროვილდაცულ და დაბრუნებულ იქმნას ტფილისში შეძლების დაგვარად მთელი სამხედრო ქონება და აგრეთვე ყველა სპეციალისტები, დარჩენილნი ბათომის ოლქის რაიონში, ქუთაისის გუბერნიაში და გზაში.

— **სახალხო შრომის კომისარიატში.** სახალხო შრომის კომისარიატთან დაიწყო მოქმედება მუშათა ძალის აღრიცხვის და გახაწილების განყოფილებამ. განყოფილებამ შეუდგა ტფილისში ქვეგანყოფილებების გახსნას, პირველ ხანებში გახსნილი იქნება 3 ქვეგანყოფილება: ცენტრალური შრომის ყოფილი ბირჟა, რომელშიაც შედიან 1, 2, 3, 4 და 9 სამილიციო კომისარიატები, ავლაბრისა (ნავთლუღი, ორთაჭალა და ავლაბარი) და ვაგზლისა (დიდუბე, ნაძალადევი და მთელი 10 კომისარიატი). განზრახულია გაიხსნას პროვინციაში მთელი რიგი ქვეგანყოფილებათა: ქუთაისსა, ბათომსა, ფოთსა, სოხუმსა, ბორჯომისა, ჭიათურასა, თელავსა, სიღნაღსა და აგრეთვე მოზრდილ სოფლებში საკორესპონდენციო პუნქტები.

— **რევოლიუციონური მართლ მსაჯულება.** რევოლიუციონურ სამხედრო ტრიბუნალის სადივიზიო განყოფილებამ 28 მარტს მოისმინა საქმე ქ. ტფილისის მოქალაქის ალსაჟალოვისა, რომელსაც არ შეუსრულებია ბრძანება იარაღის ჩაბარების შესახებ, ვინაიდან სასამართლოს გამოძიებამ გამოარკვია, რომ ალსაჟალოვმა არ ჩააბარა ვინტოვკა, რადგან მას იგი გამოუსადეგარი ეგონა, რევოლ. სამხ. ტრიბუნალმა გადაუწყვიტა დამნაშავეს ერთი წლით იძულებითი მუშაობა. იმავე დღეს განხილულ იქმნა საქმე წითელ ლაშქრელების ხაზაროვის და გავრილენკოსი, რომლებსაც ბრალი ედებოდათ ცხოვრების მოპარვაში. სამს. სარევ. ტრიბუნალმა გადაუწყვიტა მათ იძულებითი მუშაობა ერთი წლით პირობითი წესით. ანალოგიური სასჯელი მიეწიჭა წითელ არმიელს გეტმანცოვს, რომელიც დამნაშავე აღმოჩნდა ტყავეულობის მითვისებაში და უფროსის სიტყვით შეურაცყოფაში.

— **ქალაქის სასურსათო კომიტეტში** ქალ. სას. კომიტეტმა თხოვნით მიმართა სოფ. მეურნ. საბჭოს სატყეო განყოფილებას, რათა ნება დართონ მას შიხლინის აგარაკიდან 300 საჟ. შეშის გამოტანაზე, რომელიც წინათაა დამზადებული ქალაქის გამგეობის მიერ. რადგან დ. დიდლოფლის წყაროში დარჩა ტფილის ქალაქის გამგეობის მიერ დამზადებული აბვა და სხვა საქონელი და პროდუქტები, ღირებული 20 მილ. მანეთ, ქალ. სას. კომიტეტმა თხოვნით მიმართა საქართველოს რევკომს ნება დართოს მას ამ საქონლის ტფილისში წაღებისა.

— **მელითონეთა კავშირი.** მელითონეთა კავშირის საერთო კრებამ საჭიროთ სცნო შეუდგეს კავშირის რეორგანიზაციას. იმ წარმოებათა შესახებ, რომელნიც შედიან მელითონეთა კავშირში, დადგენილია სახალხო მეურნეობის საბჭოს მიერ საწარმოვო გეგმის გამომუშავებამდე, საავტომობილო სახელოსნოები დარჩა მელითონეთა პროფკავშირში. კავშირის ახალ გამგეობაში არჩეულნი არიან ამხ. ვეიდენი, ოვდუევი და ბურლივნაძე. უმუშევართა მდგომარეობის შესახებ ამხ. როხლინმა დაასურათა შრომის ბირჟის სრული უმოქმედობა და ხელმძღვანელობის უცოდინარობა ამ საქმის მოსაწყობათ. კრებამ დაადგინა მიმართოს სახალხო მეურნეობის საბჭოს და სახალხო შრომის კომისარიატს წინადადებით, მოხდეს სასწრაფოთ შრომის ბირჟის რეორგანიზაცია და დანიშნოს ახალი მმართველი.

— **ქალაქის სანიტარული მდგომარეობა.** ქალაქის რევკომის ბრძანებით, ყველა სავალდებულო დადგენილებანი, სანიტარულ საქმის შესახებ რჩება ძალაში. საბინაო კომიტეტებს ეძლევათ წინადადება სასტიკი პასუხის მგებლობის ქვეშ ადევნონ თვალ ყური ქუჩების და ეზოების გასუფთავებას. ამასთან ხარჯები უნდა დაიფაროს საბინაო ქირებიდან იმ შემთხვევაში, თუ ეს ფული არ ეყოფა დანარჩენი ფული განაწილებულ უნდა იქმნას მდგმურებთა შორის.

**სახელმწიფო დრამის თეატრში.** 2 აპრილს პირველად ამ სეზონში წარმოდგენილ იქმნება „დამნაშავენი“.

კვირას განმეორებულ იქნება ალიკო ცაგარლის „ხანუმა“ ვასო აბაშიძის, ელ. ჩერქეზიშვილის და სხვათა მონაწილეობით.

შაბათს, 9 აპრილს პირველად ამ სეზონში წარმოდგენილ იქნება „დალატი“ მთელი დასის მონაწილეობით. პიესას რეჟისორობს ალ. წუწუნავა. დახატულია ამ პიესისათვის საგანგებოდ ახალი დეკორაციები ვალ. სიდამონ-ერისთავის მიერ.

**„რაბისის“ დღე** სახელმწიფო დრამის თეატრში ორშაბათს, აპრილის 4-ს ისევე, როგორც ტფილისის ყველა თეატრებში, გაიმართება საქართველოს ხელოვნების მუშაკთა კავშირის „რაბისის“ დღე. ეს პირველი დღეა, საპროფესიო ორგანიზაცია რომ ჰმართავს თავის თანხათა გასამძლიერებლად, და უნდა დაიმედებული ვიყოთ, უკანასკნელიც იქნება, რადგანაც საპროფესიო ორგანიზაციებს არა ჰმართებთ ასეთ წყაროს მიჰმართონ მაგრამ დიდი საორგანიზაციო მუშაობა ამ ხანად დიდ თანხასაც საჭიროებს, და ეს არის უმთავრესი მიზეზი ამ დღის მოწყობისა.

სახელმწიფო დრამის თეატრში ამ დღეს წარმოდგენილ იქნება „სამშობლო“ მთელი დასის მონაწილეობით.

— **სურსათის შემოტანის შესახებ.** ქალ. ტფილისის უფროსმა გასცა შემდეგი ბრძანება: მიუხედავად „სასურსათო სახალხო კომისარიატის ბრძანებისა პროვინციიდან ტფილისში სურსათის დაუბრკოლებლივ შემოზიდვისა და აგრეთვე მარტის 18 № 25 § 12 ჩვენი ბრძანებისა მილიციის თანამშრომლები განაგრძობენ სურსათის შეჩერებას და ზოგჯერ ართმევენ კიდევაც პატრონებს. მიმაჩნია რა ასეთი თვითნებობითი მოქმედება მილიციის თანამშრომლებისა სასურსათო საგნების დაჭერისა და რეკვიზიციის არა თუ დაუშვებლად, არამედ ბოროტმოქმედებად, ხელახლა ვადასტურებ ჩემს ბრძანებას № 25 და ამასთან ვაფრთხილებ, რომ თუ კიდევ განმეორდა ასეთი თვითნებობითი მოქმედება მილიციის თანამშრომლებისა, დამნაშავენი და აგრეთვე რაიონების უფროსები გარდა სამსახურიდან დათხოვნისა სასტიკ პასუხს აგებენ.

— **განათლების სახალხო კომისარიატში. გაკვეთილების შემცირება.** განათლების კომისარიატის განკარგულებით ტფილისის საშუალო სასწავლებლებში კვირეული რიცხვი გაკვეთილების შემცირდა ერთი მესამედით.

— **მინდვრების დათესვისთვის.** სათეს მინდვრების ცენტრალურ კომისიის თავმჯდომარემ აგრონომმა ავალიშვილმა მოხსენება წარუდგინა საქართველოს რევკომის თავმჯდომარეს ამხ. მახარაძეს, რათა კომისიას აუცილებლად მიეცეს თავის განკარგულებაში საექიმო მასალები და 50 ცისტერნი ნავთი სათესლეზე და სამეურნეო მანქანებზე გასაცვლელად. გარდა ამისა კომისია თხოულობს მოეწყოს საბარგო ავტომობილები თესლეულობის ჩამოსატანად, და ორი სამარშრუტო მატარებლის დანიშვნას კავკავიდან სათეს მასალის ჩამოსატანად, სადაც არის 1000 ფუთამდე თესლეულობა ხორბლისა, ქერისა და სიმინდისა. რევკომის თავმჯდომარემ დაამტკიცა მოხსენება გარდა სამარშრუტო მატარებლების დანიშვნისა. მატარებლები მიეცემა კომისიას პირველ შეძლებისთანავე. სათეს მასალებს კომისია დაამზადებს სახ. სასურ. კომისარიატთან შეთანხმებით. სიმინდის თესლის საყიდლად ცენტ. კომისიის რწმუნებულის სახით ქუთაისის გუბერნიაში გაიგზავნა ამხ. რამიშვილი.

— **საჩუქარი წითელ პიტერის მუშებს.** წითელ პიტერის მუშებს საჩუქრად გაეგზავნათ 2,000 ვედრო ღვინო. ამ რაოდენობიდან 500 ფ. უგზავნის მიწ. მოქმ. სახ. კომისარიატის ტფილისის სარდაფი და 1500 ფ. ყოფილ ამხ. „საეროს“ საწყობი.

— **ბანკების შენობები.** ტფილის-კავკასიური ბანკი განზრახულია გადატანილ იქნეს მუშათა სასახლიდან პეტროგრადის საერთაშორისო კომერციულ ბანკის ტფილისის განყოფილების შენობაში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო ბანკის ტფილისის განყოფილების და ყოფ. ამიერკავკ. სახ. საკრედ. ბანკის შენობა დაკავებულია. პირველში მოთავსებულია ტფილისის მესამე რაიონის საბინაო ქვეგანყოფილება და მეორე საყოველთაო სწავლის სამხედრო-სასპორტო განყოფილება.

— **წერა კითხვის საზოგადოება.** ქართველთა შორის წერა კითხვის გამავრცელების საზოგადოება განათლების სახალხო კომისარიატის ბრძანებით მთელი თავისი ქონებით და ინვენტარით გადავიდა განათლების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში.

— **წყლის სადენი.** შეუდგნენ ქალაქის წყლის სადენის მანქანების კაპიტალურ რემონტს. რემონტი სწარმოებს იმ მიზნით, რომ ქალაქში ნორმალურათ მოაწოდონ ხოლმე წყალი.

— **ქარხანა ხორბალის ფქვილების დასამზადებლათ.** სახალხო მეურნეობის უმაღლეს საბჭოს სატყეო განყოფილება შეუდგა ქარხნის მოწყობას, სადაც დამზადდება ხორბლის ფქვილები.

— **ბინის საქმე.** საბინაო განყოფილების მესამე რაიონის წინადადება სახ. კომიტეტის მიერ ბინებისა და ოთახების რაოდენობის ცნობის წარმოდგენის შესახებ, ქალ. რევკომის ცენტრალურმა საბინაო კომისიამ გააუქმა, რადგან ცენტრ. საბინაო განყოფილების საადრიცხო გამნაწილებელ ქვეგანყოფილების მიერ მუშავდება თითეული მცხოვრებისთვის ბინის ნორმის პროექტი. ეს ნორმა შემუშავებული იქნება პროფესიის ბინის სივრცისა და სხვ. პირობების მიხედვით.

— **მეცადინეობა კურსანტთათვის.** 1 ალმოსავლეთ ბრიგადის გუნდის კურსანტებისთვის არსებულ სამხედრო-საინჟინერო კურსების სამოსწავლო განყოფილების გამგემ თხოვნით მიმართა ტფილისის პოლიტექნიკურ ინსტიტუტს გაუგზავნონ მათ სპეციალისტი პროფესორები, რომლებიც ლექციებს წაუკითხავენ კურსანტებს და მოაწყობენ პრაქტიკულ მეცადინეობის ელექტროტექნიკასა.

## რადიო

**რუსეთის ეკონომიური აღდგენა.** ეკონომიური ურთიერთობა შვეციასა და რუსეთს შორის განმტკიცებულ იქნება მით, რომ რუსეთი სხვა და სხვა საქონელს შეუკვეთს შვეციის მრეწველობას.

**სატელეგრაფო საქმე რუსეთში.**

**მოსკოვი** 26-3. საწარმოო პროპაგანდის შესახებ სრულიად რუსეთის თათბირზე ამხ. ევშანოვმა განაცხადა, რომ თებერვლისთვის რუსეთში საფუძვლიანათ აღდგენილი იქნა 45 პროც. დანგრეულ გზებისა. დანარჩენ გზების აღდგენის გეგმა შემუშავებულია და ნავარაუდევია, რომ მომავალ 2 წლის განმავლობაში აღდგენილ იქნება გზები. ამ ორ წელიწადში სავსებით აღდგენილ იქნება ტელეგრაფი და ტელეფონი რუსეთში. ტრანსპორტის შესახებ ამხ. ევშანოვმა განაცხადა, რომ 1921 წლისთვის განსაზღვრულია 4 ნახ. მილიარდ ფუთზე მეტ ტვირთის გადაზიდვა, ვიდრე ეს იყო 1920 წელს. გასულ წელს 542 მილიონი ფუთი იქმნა გადატანილი. ამ ჟამად საბჭოთა რუსეთს 8 ათასი ორთქმავალი აქვს და მათი რიცხვი გადიდდება და გვექნება 10360 ორთქმავალი. ამნაირად რკ. გზების და წყლის ტრანსპორტი შესძლებს ნავოსნობის დროსთვის ყველა ტვირთის გადაზიდვას, რომელიც საჭიროა რესპუბლიკის ცხოვრების გასამაგრებლათ.

მოსკოვის საბჭოს პრეზიდიუმმა დაადგინა მოისპოს აბანოებით სარგებლობისთვის ფასი მოსკოვის ყველა მცხოვრებთათვის. ყველას, ვინც კი მოისურვებს თავისუფლათ შეუძლიან შევიდეს აბანოში. შაბათობით იბანავებენ განსაკუთრებით მუშები და ის პირნი, რომელნიც ფიზიკურ შრომას მისდევენ.

**მუშათა მოძრაობა ევროპაში.**

**ტაშკენტი,** 20—3. გრუზავროსტას საგ. კორ.). ტაშკენტში შემდგარ მუშათა შეერთებულ კრებაზე გამოვიდნენ ახლად ჩამოსული 3-ე კომუნისტურ ინტერნაციონალის წარმომადგენლები. სიტყვა წარმოსთქვა ავსტრიის მუშათა წარმომადგენელმა ამხ. შინგარტმა.

„ჩვენ“, განაცხადა ორატორმა, „მოხარულნი ვართ შევხვდეთ აღმოსავლეთში კომუნიზმისათვის მებრძოლებს. მე მივესალმები მთელი თურკესთანის კომუნისტებს იმ ქვეყნების რევოლიუციონურ მუშათა სახელით, რომელთა მთავრობანიც მთელ ძალას იკრეფენ, რომ გაახშონ საბჭოთა ხელისუფლების იდეა. აქ ჩემთან ერთად იმყოფებიან წარმომადგენლები ინგლის-საფრანგეთის, გერმანიის და სხ. ქვეყნების და ჩვენ თქვენ მოკლედ შეგატყობინებთ, რაც ხდება ევროპაში.

ყველა ქვეყნის პროლეტარიატი [illegible] ვიანთ ძალებს, [illegible] ხელმძღვანელებს, რომელთაც ასე შეუბრალებლათ მოატყუეს იგინი და იკრიფებიან კომუნისტურ პარტიის გარშემო მთელი მსოფლიო პროლეტარიატი დიდი ყურადღებით ადევნებს თვალყურს საბჭოთა რესპუბლიკების კარგ მომავლისათვის ბრძოლას, ბრძოლას მუშათა და გლეხთა კომუნიზმისათვის. თქვენგან, საბჭოთა რესპუბლიკის მუშებიდან, ისინი სწავლობენ ბრძოლას და გამარჯვებას. წითელი ვარსკვლავი-იმედი და სიმბოლოა ყველა მაშვრალთა. ნამდვილი თავისუფლებისა ევროპის ეკონომიური მდგომარეობა ისეთია, რომ რევოლიუცია აუცილებელია. იზრდება უმუშევრობა. მუშათა მდგომარეობა აუტანელია. საერთო მდგომარეობა ევროპის პროლეტარიატს უკარნახებს, უკანასკნელად და გადამწყვეტად შეებას კაპიტალს.

საფრანგეთის კომპარტიის წარმომადგენელმა დელინიერმა განაცხადა: საფრანგეთის პროლეტარიატის მკაცრ და საშინელ ბრძოლას ბურჟუასთან მშრომელთა გასანთავისუფლებათ. ბურჟუაზიის ჩაკეტილი რკინის რკალი გარღვეულია კომუნისტურ ინტერნაციონალის მიერ.

ინგლისის მუშათა წარმომადგენელმა სანვერმა განაცხადა, რომ დიდბრიტანეთის კომუნისტური პარტია აერთებს დიდი ბრიტანეთის ყველა რევოლიუციონურ და შეგნებულ მუშებს. კომუნისტური ჩასახები (იაჩეიკები) შემდგარია არა მარტო ფაბრიკა-ქარხნებში. არამედ ლაშქარში და ფლოტშიც.

სამხრეთ აფრიკის მუშათა სახელით გამოვიდა ამხ. ბ. ვკარი, რომელმაც აცნობა, რომ რუსეთში მომხდარ ოქტომბრის რევოლიუციის შემდეგ, სამხრეთ-აფრიკის მუშებმა ორჯერ მოაწყეს აჯანყება, რომელიც ჩაქრობილ იქმნა. უკვე 3 წელია, რაც სამხრეთ აფრიკის მუშები აწარმოებენ დაუღალავ ბრძოლას საბჭოთა ხელისუფლებისთვის და ერთ ერთი ნაბიჯითაც არ გადაუხვევიათ ამ ერთად ერთ სწორ გზიდან. აფრიკის მდგომარეობა საშინლათ მძიმეა, რადგანაც ევროპის კაპიტალი იქ აწარმოებს მხეცურ პოლიტიკას და აქვეითებს მუშებს.

ინდოეთის მუშათა წარმომადგენელმა მაკრაჯიმ განაცხადა, რომ ინდოეთში რევოლიუციონური ბრძოლა იზრდება, სადაც მუშები მედგრად აწარმოებენ საქმეს კაპიტალის უღლიდან განთავისუფლებლად იმ იმედით, რომ მიეშველებიან საბჭოთა რუსეთის მუშები.

**აზერბეიჯანში.**

**ბაქო,** 23—3. ბაქოს აღმ. კომიტეტის სხდომაზე ამხ. ალიევმა გააკეთა მოხსენება იმ ღირებულებათა რეალიზაციის შესახებ, რომელიც ჩამოერთვა ბურჟუაზიას. ეს ღირებულებანი, ხალიჩების ჩაუთვლელათ, თანამედროვე კურსით შეადგენს 2 მილიარდ 780 მილიონს ღირებულებას. მოხსენების განხილვის შემდეგ დაადგინეს ამ ღირებულებით შეისყიდონ საზღვარ გარეთ სურსათი და განაწილონ ბაქოს შორის. ამ გადაწყვეტილების გამო აზერბაიჯანის საგარეო ვ. ქრომამ გაგზავნა სპარსეთში რწმუნებულების ბრინჯისა და ხორცის შესასყიდლად.

**უკრაინის მდგომარეობა.**

**ხარკოვი,** 21—3. საბჭოთა უკრაინის სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე რაკოვსკიმ სრულიად უკრაინის საბჭოთა ყრილობის მეორე სხდომის დროს გააკეთა მოხსენება, რომელშიაც განაცხადა: გარეშე მტრებთან უძლიერეს ბრძოლის შემდეგ უკრაინის საბჭოთა რესპუბლიკა გამარჯვებული გამოვიდა. უკრაინის მუშათა და გლეხთა ძლიერება და სიმტკიცე მდგომარეობს არა თუ მარტო ქალაქისა და სოფლის პროლეტარიატის შეერთებაში, არამედ რესპუბლიკებთან ერთობაშიც. თუმცა კონტრ-რევოლიუცია ჯერ არაა დათრგუნული უკრაინაში, მაგრამ წითელი ლაშქარი მაინც საკმაოდ ძლიერია ყოველნაირ თავდასხმის მოსაგერებლად.

ამხ. რაკოვსკიმ თავის მოხსენებაში სხვათა შორის სთქვა, რომ ოდესაში აღმოაჩინეს ფარული აგიტაცია სკოროპადსკისა. ზედმიწევნით დამტკიცდა, რომ ორგანიზაცია იღებდა ფულს საზღვარ გარეთიდან აჯანყების მოსაწყობად. შეეხო რა იმ ბრალდებას, ვითომ საბჭოთა მთავრობა სკოლების რუსიფიკაციას ცდილობდეს, რაკოვსკიმ ციფრებით დაამტკიცა, რომ უკრაინული ენა შემოღებულია უკრაინის სკოლათა დიდ უმეტესობაში და წარმოადგენს ძლიერ იარაღს კომუნისტური პროპაგანდისთვის.

### ინგლისში.

**ნაუენი.** 23—3. მოთხოვნილების უქონლობის გამო, ინგლისსა. ქვანახშირის მადნების პატრონთა კავშირმა დაადგინა დააკლოს ქვა-ნახშირის ფასს 50 შილინგიდან 40 შილინგამდე, იმავე ცნობით, საფრანგეთის შრომის მინისტრმა გამოაცხადა, რომ ქვა-ნახშირს ფასს 30 ფრანკი დააკლდა თითო ტონზე.

### რევოლიუციონური ბრძოლა ირლანდიაში.

**ნაუენი.** 23—3 კორკიდან (ირლანდია) მიღებულ ცნობით. კლიბეკის ახლო მოხდა ახალი შეტაკებანი სინფეინერებთან. პოლიციამ დაიწყო თოფის სროლა. დუბლინში სინფეინერებმა თოფის სროლა აუტეხეს ინგლისელ ოფიცრების ავტომობილს. სოფელი მოკრომი ირლანდიელებმა დაიჭირეს. ინგლისის პოლიციამ იერიში მიიტანა ამ სოფელზე, მაგრამ იძულებული იყო უკან დაეხია, რის დროსაც მას მოუკლეს 14 კაცი.

### შეშა რუსეთისათვის

**ჰელსინგფორსი.** 24-3. „ჰელსინგ სანომატ“-ი იტყობინება, რომ მარტის 24 შესდგა მსხვილ შეშის დამზადებელ 200 ფირმის კრება; გადაწყდა შეადგინონ მეშეშეთა კავშირი იმ მიზნით მხოლოდ, რომ შეშა მიჰყიდოს რუსეთს. კავშირის მართველობა დაუყოვნებლივ შეუდგება მოლაპარაკებას სავაჭრო-სამრეწველო სამინისტროსთან (ორგანიზაციისთვის დამახინჯებულია) შეშა ნახშირი და ტორფით მოვაჭრეთ ნება მიეცათ დაენიშნათ თავისი წარმომადგენელი შეშის კანტორის სამართველოში.

### ამერიკის მუშები-საბჭოთა რუსეთს.

**მოსკოვი** 28 3 ქალთა ტანსაცმლის საერთაშორისო ნიმუშის მიხედვით დამზადებულ ამერიკულ საზოგადოების თავმჯდომარემ განაცხადა, რომ საზოგადოებას განზრახული აქვს გაგზავნოს საბჭოთა რუსეთში 1 მილიონ დოლარის საკერავი მანქანები და უთოები. ამერიკის მთავრობას არა აქვს საშუალება აუკრძალოს ამერიკის მუშათა საზოგადოებებს წარმოების აუცილებელ იარაღების გაგზავნა რუსეთის მუშათა საზოგადოებისთვის, თუმცა სავაჭრო ურთიერთობა რუსეთსა და ამერიკას შორის ჯერ არ არის აღდგენილი.

### წითელ მხვნელ-მთესვლის კვირა.

აპრილის 1-ს იწყება „წითელ მხვნელ-მთესველის“ კვირა. მისი დანიშნულება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ჩვენ უნდა ფართოდ და საჩქაროდ დავეხმაროთ გლეხებს. სოფელი ელის ჩვენ შველას, რათა შეკეთებული და მოწესრიგებული იქმნას სასოფლო სამეურნეო საწარმოო იარაღები.

### შრომის ფრონტი.

**ოდესა,** 26-3. ნიკოლაევში სწარმოებს შეკეთება 80-მდე ხომალდისა. იქვე ამთავრებენ ახალ ხომალდს „ნახიჩევან“-ს და მიწის მთხრელი (დამახინჯებულია) შეკეთების სამუშაოზე გაწვეულია არა მარტო სახელოსნოს მუშები, არამედ გემზე მოსამსახურენიც კაპიტნამდე.

### ოდესის ნავთსადგურში.

ოდესა სალიკვიდაციო კომისიის მიერ მოხდენილმა აღრიცხვამ გამოარკვია, რომ ოდესის ნავთსადგურის ტერიტორიაზე იმყოფება 300 გემი 34 შენობა, 67 სახელოსნო, 7 მასალის საწყობი, 130 შენობა ინვენტარით და ქონებით.

### მეზღვაურთა გამოშვება.

ოდესა, 26-3 გამოუშვეს მეზღვაურები, რომლებმაც დაამთავრეს სამხედრო პოლიტიკური კურსები. მეზღვაურებმა მიიღეს რეზოლიუცია, რომელშიაც ისინი გამოსთქვამენ სურვილს იდგნენ რევოლიუციის სადარაჯოზე და ძველი დონე მოახმარონ წითელი ფლოტის აღდგენას. კომუნის მოედანზე დიდის ზეიმით ჩააბარეს კურსანტებს წითელი დროშა.

## რით აიხსნება?

ქალაქ ტფილისის სასწავლებელში უკვე შემოიღეს და მოწაფეებს—უფასოდ აძლევენ ჩაის. უკვე ეს ერთი მოვლენა ცხად ხდის დიდ განსხვავებას ძველსა და ახალ წესებს შორის...

სამწუხაროდ ამ ზომას თან დაჰყოლია ერთი გაუგებარი სამწუხარო ნაკლი: თურმე მასწავლებლებს არ ეძლევათ ეს ჩაი. 100-200 და მეტ ბავშვსაც მასწავლებელმა ჩაი უნდა გაუნაწილოს და თვითონ კი მშიერი შეჰყურებდეს. ვინ არ იცის, რომ ამ უსურსათობის დროს, მასწავლებლები უსაუზმოდ მიდიან სკოლაში და განა სამართლიანია მათთვინ ერთი ჭიქა ჩაი დავიშუროთ?

მ.

## სტალინის თეზისებიდან

საბჭოთა რესპუბლიკებში არ არსებობს არავითარი ეროვნული დაჩაგვრა, მაგრამ ამ ჟამად ჩვენ ბოლომდე არა გვაქვს მიყვანილი ეროვნული საკითხის გადაწყვეტის საქმე. საქმე ის არის, რომ რუსეთის მოწინავე მუშები და გლეხები უნდა დაეხმარონ ჩამორჩენილ ეროვნებათა გლეხებსა და მუშებს—ბაშკირეთის, ყირგიზეთის, ყალმუხებისა და სხვა მუსულმანთა ხალხებს, რათა ისინი წამოეწივნენ რუსეთს სამეურნეო განვითარებითა და კულტურით. ამ მიზნის მისაღწევად კი დაბრკოლება იმაში მდგომარეობს, რომ ეს ხალხები აქამდე რუსებისაგან (მოხელეების, პოლიციელებისა, ვაჭრებისაგან და სხვ.) განიცდიდნენ მხოლოდ ჩაგვრასა და ძალადობას და ამის წყალობით ისინი ეხლაც რამდენიმე უნდობლად გვეპყრობიან. დიახ, რუსეთის მოწინავე მუშებსა და გლეხებშიც კი დარჩენილა კიდევ მემკვიდრეობა ძველი ცარიზმის წყობილებისა, რაიც ხელს უშლის უცხო ერის ხალხს, რომ ის სწორის შეგნებით დაგვიახლოვდეს და გაგვიგოს.

აუცილებლად საჭიროა გავიცნოთ ჩამორჩენილ ხალხთა მეურნეობისა და ყოფაცხოვრების ყოველი თავისებურება უნდა შევიგნოთ, რომ ყველა ჩვენი დეკრეტები არ არის გატარებული მათს ცხოვრებაში და მხოლოდ მაშინ შეიძლება სარგებლიანი დახმარება აღმოუჩინოთ მათ თავის ქვეყნის განვითარებისა და მოწყობაში იმ ფორმითა და სახით, როგორც ჩვენა ვმართავთ რუსეთს.

## შაბათობა.

1. შაბათობა არის შრომის ბეგრის და მუშათა კლასის თვითორგანიზაციის პროპაგანდის ერთ-ერთი ფორმა.

2. შაბათობა უნდა იქმნეს კომუნისტურ შრომის ფორმათა ლაბორატორია.

3. შაბათობა უპირველესად ყოვლისა უნდა მოწყობილ იქმნას განსაკუთრებულ მნიშვნელოვან და სასწრაფო სამუშაოსთვის.

4. შაბათობაზე ნამუშევარი არ უნდა იყოს ჩვეულებრივზე ნაკლები, შაბათობის მონაწილენი უნდა ცდილობდნენ გადააჭარბონ კიდეც.

### შაბათობის მოწყობა.

1. შაბათობის საერთო ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს პარტკომებს. 2. შაბათობის პრაქტიკული განხორციელება მინდობილი აქვს სამეულებს, რომლებიც გამოყოფილია პარტკომებიდან შრომის ბეგრის გასატარებლად. 3. სამეულები იმუშავებენ შაბათობის საერთო გეგმას. 4. პარტკომების, შრომის სამეულის და შრომის კომიტეტის შორის მჭიდრო კავშირის დასამყარებლათ, პარტკომის ერთ-ერთი წევრი ერთი და იმავე დროს უნდა იყოს შრომის კომიტეტის და შრომის სამეულის წევრი. ორგანიზაციები, რომლებიც დაინტერესებული არიან შაბათობის მოწყობაში შეაქვთ განცხადება ადგილობრივ შრომის კომიტეტში. 6. არა უგვიანეს ორი დღისა შაბათობამდე, შრომის სამეულები იწვევენ ჩანასახების (იაჩეიკების) წარმომადგენლებს, რომელიც გამოყოფილია შრომის ბეგრის ცხოვრებაში გასატარებლათ და ანაწილებენ პარტიის წევრებს, თანამოაზრეებს და უპარტიოთ შრომის კომიტეტის მიერ შემუშავებულ გეგმის თანახმათ. შენიშვნა: ამ კრებაზე მოწვეულ იქნებიან აგრეთვე ქალთა შორის სამუშაოს მომწყობნი. 7. პარტკომი შრომის კომიტეტთან ერთად ადგენს შაბათობისთვის ანგარიშის გარკვეულ ფორმებს, რომლებსაც ავსებენ შაბათობის პასუხისმგებელი ორგანიზატორები იმ დაწესებულების ადმინისტრაციასთან ერთად, რომელმაც მოაწყო შაბათობა. 8. მუშა ძალების განაწილებისას შაბათობის მომწყობთა მიზანია შაბათობაში კვალიფიციურ და არა კვალიფიციურ მონაწილეთაგან პროფესიონალურ არტელის მოწყობა, რომელიც მუდმივათ იმუშავებს შაბათობაზე ამა თუ იმ პუნქტებზე, და აგრეთვე ზრუნავენ მიაწოდონ მათ ინვენტარი, იარაღები და სხვა.

### შაბათობის გატარება.

1. მუშა ძალის ტეხნიკური განაწილება და ხელმძღვანელობა მინდობილი აქვს იმ დაწესებულების ადმინისტრაციას, რომელმაც მოაწყო შაბათობა. 2. იდეური ხელმძღვანელობა და მუშაობის ყურის გდება მინდობილი აქვს პასუხის მგებელ ორგანიზატორს, რომელიც გამოყოფილია შრომის სამეულის მიერ თვითეულ პუნქტზე, სადაც ხდება შაბათობა. ორგანიზატორები წარუდგენენ შრომის კომიტეტებს ანგარიშს არა უგვიანეს სამი დღისა შაბათობის შემდეგ. 3 ჩანასახის კომიტეტები სამუშაოზე გაგზავნის დროს, თითოეული ცალკე შემთხვევაში, გამოყოფენ მონაწილეთაგან ჩანასახის კომიტეტის წინაშე პასუხის მგებელ უფროსს. ჩანასახის მახლობელ სხდომაზე უფროსი დელეგატი აკეთებს დაწვრილებითი მოხსენებას შაბათობისა და ჩანასახის წევრთა მუშაობის შესახებ.

შაბათობის მომწყობნი და აგრეთვე ჩანასახების მიერ გამოყოფილ პასუხის მგებელი უფროსთა ჯგუფი პასუხისმგებელია მუშა ძალების რაციონალურათ გამოყენებისთვის, როგორც თვით სამუშაოზე, აგრეთვე მომზადების დროსაც. ამ მიზნით ორგანიზატორები ვალდებული არიან დროზე გამოარკვიონ შაბათობის რაოდენობა. ადგილი სამუშაოსი, გადასატანი საშუალებანი, იარაღისა და ინვენტარის რაოდენობა და სხვ. 5. შაბათობა გრძელდება 4 საათს, მაგრამ ყოველთვის შეიძლება გაგრძელებულ იქმნას შაბათობის მომწყობის განკარგულებით და ადმინისტრაციასთან შეთანხმებით. შაბათობაზე ხელფასი არ არსებობს.

შაბათობის პასუხის მგებელ მომწყობთა ყველა განკარგულებანი უხმოთ სრულდება, მაგრამ შეიძლება გასაჩივრებულ იქმნას ცენ. კომიტეტშიაც კი.

### 4 შაბათობაში მონაწილეთა ვალდებულებანი.

1. პარტიის ყოველმა წევრმა თავის პირადი შრომის მაგალითით, პროპაგანდით უნდა მიიზიდოს შაბათობაში მონაწილეობის მისაღებათ უპარტიო მშრომელთა მასსები. 2. პარტიის ყოველი წევრი ვალდებულია მიიღოს მონაწილეობა შაბათობაში თვეში ორჯერ მაინც. 3 პარტიის წევრები, რომლებიც გაექცევიან შაბათობაში მონაწილეობის მიღებას ან და მოეპყრობიან შაბათობას არა სერიოზულათ, გადაეცემიან პარტიულ სასამართლოს, როგორც პარტიული დისციპლინის დამრღვევნი, შაბათობის უფროსისგან პასუხის მგებელ ორგანიზატორის განცხადებით.

შენიშვნა 1. ვინც შაბათობაზე არ გამოცხადდება, პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ: 1 მოსთხოვოს განმარტება და მიზეზი შაბათობაზე დაუსწრებლობისა 2. არა საპატიო მიზეზით დაუსწრებლობისათვის, პარტიულ კომიტეტებს შეუძლიათ: ა) გააფრთხილონ, ბ) გაჰკიცხონ, გ) გაგზავნონ ერთი კვირით სამუშაოზე შრომის კომისარიატის ჩვენებით და დ) პარტიის წევრებიდან ჩამოაყენონ კანდიდატობაზე.

შენიშვნა 11. უპარტიონი, რომელნიც შემჩნეული იქნებიან შაბათობის არა სინდისიერად ასრულებაში, ჰკარგავენ უფლებას შაბათობაში მონაწილეობის მიღებისას და ასეთების შესახებ ეუწყება სათანადო პროფკავშირებს, რათა მოახდინონ ზეგავლენა პროფესიონალურ დისციპლინით.

### განთავისუფლება შაბათობაში მიღებისაგან.

1. ყველანი 16 წლისაზე ნაკლები. 2. ფეხმძიმე დედაკაცები: ფეხმძიმენი 8 თვის წინ მშობიარობამდე, შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ მუშაობაში, რომელსაც ფიზიკური ძალა არა სჭირდება, 3. ძუძუს მაწოვარნი დედები. 4. განთავისუფლებულნი ავადმყოფობისა გამო ფიზიკური შრომისაგან. 5. მძიმე ფიზიკურ მუშაობისაგან თავისუფლები ან ის დახელოვნებული მუშები, რომლებიც განთავისუფლებულნი არიან შრომის ბეგარის პირველ ჯგუფის მუშაობისაგან. („მოამბე“ № 6 მარტის 2). 6. პასუხისმგებელი მომუშავენი, იმ შემთხვევაში, თუ მეტად საჭირო და საჩქარო სამუშაო აქვთ, თავისუფლდებიან პერსონალურად. ყოველ შემთხვევაში ადგილობრივ პარტიულ კომიტეტის დადგენილებით. 1-დგან—3 თვემდე. 7. შაბათობისა და ჩანასახის კომიტეტებს ორგანიზატორები აწარმოებენ განთავისუფლებულთა აღრიცხვას და მოჰყავთ საერთო ცნობები მათ შესახებ შაბათობის მორიგ ანგარიშში.

## ჩვენი კონფერენცია

საქართველოს დემოკრატიამ შესდგა ფეხი სოციალისტურ ხანაში. აი ამ ისტორიულ, სოციალურ ხანაში, როგორც ყოველთვის, ახალგაზრდობამ გზის გასაკვლევათ თავი იჩინა, პროლეტარიატთან ერთად ისურვა წინ გამოსვლა და ამატომ იყო, რომ ორგანიზაციული შეკავშირება მოისურვეს ტფილმოწკომის სახელით.

3-2 ორი დღეს წინეთ ვკითხულობთ ქუჩებში გამოფენილ განცხადებებს, რომ არსდება მოწაფეთა ტფილმოწკომი ებრაელების ინიციატორებით და თხოვენ გიმნაზიებს გამოგზავნონ დელეგატები. ვკითხულობთ გიმნაზიაში მეორე მოწოდებას, რომ ქართველ მოწაფეთა საერთო კრებაა დანიშნულიო.

ესეც კრება... დიდის დავის და აურზაურის შემდეგ ირკვევა; ერთი მოწაფე გადმოსცემს ინიციატორთა ჯგუფის ნალაპარაკევს: „ყველა გიმნაზიები დავიარე, ყველას ვაცნობე, მოწვევა კონფერენციის გარდა ქართულ გიმნაზიებისა“. აქ კი დიდი მღელვარება დაიწყო და თუ რად არ მოვიდნენ ინიციატორები იწყებენ აურზაურს, იწყება მოწაფეთა საშინელი ჩოჩქოლი. ყველა თავისას იძახის, თავისას მოითხოვს. იქ თავმჯდომარე ვიღაცას ეკამათება, აქ ორატორი ყვირის. კრება დავიწყეთ ექვს საათზედ, გავათავეთ ათზედ. გადაწყვეტით კი მხოლოდ ეს გადაწყდა, რომ დანაშაულია ინიციატორთა ჯგუფი.

მეორე კრებაც ასე უთავბოლო ღრიანცელით ჩატარდა.

კონფერენციაზედ მივდივართ. მანდატებს გვიშინჯავენ, რეგისტრაციაში გვატარებენ ებრაელები. თვითონ? თვითონ „გატარდნენ“. შიგ დარბაზში არიან. არჩევნები-ა თამჯდომარედ ამხ. რომელაშვილი გავიდა, ქართველ მოწაფეთა კრებების თავმჯდომარე, ასე პრეზიდიუმი ოთხი კაცისგან შესდგა, ორი ქართველია და ორიც სხვა ეროვნების წარმომადგენელია მისასალმებელი სიტყვა ეკუთვნის კომსომოლის წარმომადგენელს ვინმე ტერტერიანცს.

— მე არ მომწონს თქვენი კრება ეროვნულ ნიადაგზედ აგებული. სთვლიდ კრებას უკანონოთ ვინაიდან ბევრი უმანდატოთ შემოსულია და ამასთან ერთად კომსომოლის მიერ არ არის ნება დართული. ტერტერიანც ტაშს უკრავენ სომხები და სხვები. სხვა დანარჩენი ე. ი. უმრავლესობა, მოითხოვს მანდატების გადაშინჯვას ვინაიდან კრება კანონიერათ მიაჩნია და უმანდატოების დათხოვას ითხოვენ.

ბევრი ლანძღვის შემდეგ ტერტერიანცი ათავებს ასე სიტყვას: კონფერენციას უჩვენოდ მოწვევა არ შეუძლიათ და თუ ამას ვერ მიმხვდარან ისინი (მიუთითეს უმრავლესობაზედ). მხოლოდ იმიტომ რომ „თქვენ პატივს არ სცემთ კომუნისტებს“ (ასაზედ უმრავლესობამ იყვირა: არა, არა სიცრუეა!) „ეხლა კი მივდივართ და სათანადო ზომებს მივიღებთო“. გაათავა ეს და „კოლექტივ“ დაგვანახვა წავიდა. კუთხეში ზის განათლების კომისარიატის სამი წარმომადგენელი. თავმჯდომარე, საერთოდ პრეზიდიუმი მათთან გარბიან. ტრიბუნაზედ ამ დროს ვხედავთ ქალს, რომელიც კენჭს უყრის სახელმწიფო ენაზე იყოს ლაპარაკი თუ არა. თავმჯდომარეც მობრძანდა. ვიღაც დელეგატ ქალს, გაბრაზებული უყურებს, ხმებია: ვინ არის თავმჯდომარე? ეს რა ამბავია. შერცხვენაა.. აქ თავმჯდომარე უხერხულობიდან ისევ მოწაფეებმა იხსნეს. ამის შემდეგ, მართლა და ეროვნულ შუღლით გატაცებულება დასტოვეს დარბაზი. უმრავლესობა რჩება. ტრიბუნაზე ვხედავთ ამ. წერეთელს. იგი გვამხნევებს, გვთხოვს პირველად ისევ ჩვენ გაუწიოთ ხელი. და კრებაც იშლება. კვირას გაგრძელდება. ვიცით ისინი, გაქცეულები დიდ აგიტაციას ეწევიან: ჩვენ ორგანიზაციულად უნდა გამოვიდეთ, ჩვენც ვნიშნავთ კრებებს. გავყავით ფეხ და-ფეხ. სამი დიდი დიდი კრება გვქონდა. პრეზიდიუმი ისევ რომელაშვილის მეთაურობით არის. ვიწყებთ 5—6 საათზედ, ვათავებთ 9 ნახევარ საათზე იწყება აურ ზაური. კრება მუდამ ჩვენს აურ-ზაურს, ღრიანცელს უწესოდ ლაპარაკს შეადგენს. [illegible] თავმჯდომარემ ამაზე განაცხადა: ჩვენ არ ვეწინააღმდეგებით, გადაგვაყენეთ, ჩვენ კი არა დაგვიშავებია რაო, ამასთან ერთად მე ვიცი კარგი თავმჯდომარეობა, რადგან ბევრგან ვყოფილვარ თავმჯდომარეთ ასეთია ჩვენი მუშაობა.

კრება ყოველთვის გრძელდება ან 5 და ან 7 საათი.

რას ვაკეთებთ.

გამუდმებულ ერთ საკითხს ვღეჭავთ, ლაპარაკობს 20 ორატორი ერთ და ამავეზედ ან 5—6 საკითხზედ ერთად და კრების ბოლოს ვიღებთ ერთ რეზოლიუციას დიდის ჩხუბით, პროტესტით, დარბაზის დატოვებით და სხვა.

აი კიდე სხვა ამბავი, ბევრს და სხვათაშორის სხვებსაც ასე მისდიოდათ. მე ვიყავ 3 თუ 4 დიდ კრებაზედ ყველაზედ ადრე ჩავეწერე, სიტყვა ვითხოვე, მაგრამ თქმის უფლება კი არ მომცეს. რათ? იმიტომ რომ მდივანმა დავჯდომარემ დიდი ნათლიმამობა შემოიღეს, მოსწონდი, წინ და გწერდნენ არა და სხვა და სხვა ხორკებით სულ ბოლომოექცეოდი. ამასთან ერთად პრეზიდიუმის ძმა-ბიჭობა ითხოვდა შენიშვნისათვის სიტყვას და მერე მთელ ლექციას კითხულობდა და არა „კაი ბიჭები“ იძულებულნი იყვნენ მხოლოდ რეპლიკებით დაკმაყოფილებულიყვნენ, აქაც პრეზიდიუმი ძმა-ბიჭებით, ბოზოლებით, ტუზებით მოითხოვეს რეპლიკების გაჟღერა რამაც დიდი კამათი გამოიწვია.

კიდევ ფაქტი პრეზიდიუმის „კარგობაზედ“. 10 საათიდან დაწყებულება უბრალო საკითხზედ რესოლიუცია 3 საათზედ გაიტანეთ. შემდეგ პირად ინტერესებზედ, კინკლაობაზედ დაიწყო კამათი, ამ დროს შენიშვნისათვის ითხოვა „კარგმა ამხანაგმა“ სიტყვა და მოითხოვა: ვინაიდან მე ჩვენი რეზოლიუცია ვერ გავიგე ამიტომ ვითხოვ ახლათ იქნეს მსჯელობა. თავმჯდომარემ კენჭი უყარა. გრძელდება კამათი. აირია ახლა მონასტერი.. თავმჯდომარემ დახურა კრება.

დილით, როდესაც ცოტათ თუ ბევრად კრება შეთანხმდა, წარსდგა კონფერენციაზედ. უმცირესობას ვეუბნებით, რომ ჩვენ პოლიტიკაში არ ვერევით, ვიცავთ მხოლოდ მოწაფეთა სხვა და სხვა ინტერესებს. ისინი გარბიან და გვიგზავნიან ტერტერიანცს ამხანაგებით რომელიც გონების შემდეგ აბოლოებს: თქვენ მონები ხართ ჩვენი, დაიბალენითო“. ისინიც წავიდნენ, ჩვენ მხოლოდ პროტესტი დაგვიტოვეს, მე კი მაინც მსურს დარჩენილების ერთი ტრაგედია კიდევ მოგახსენოთ.

ერთმა დეპუტატმა, რომელსაც მოთმინების ფიალა აევსო, შეიტანა წინადადება გადამდგარიყო პრეზიდიუმი და თვითონაც ითხოვა განმარტებისთვის სიტყვა თავმჯდომარემ ეს არ ისურვა და ისევ „კაი ამხანაგები“ (ის საწინააღმდეგოთ ალაპარაკა. აქ აღელვებულმა ამხანაგმა იწყო ლაპარაკი რაზედაც თავმჯდომარემ დარბაზიდან დაითხოვა. ერთ შენიშვნისთვის დათხოვა?..

ამასთან ერთად დიდი ზიზღის ღირსნი არიან ის „საქმისთვის“ მოსული დეპუტატები რომლნიც მხოლოდ რეპლიკებით ლანძღვა იციან როგორც ეს ჩაიდინა ქ-ნმა გძელიშვილმა გაგდებულ ამხანაგის მიერ.

ახლა აღარ შეუდგები იმის თქმას თუ რა აზრით მოითხოვა ამხანაგმა პრეზიდიუმის გადადგომა, მართალია მას გასამართლებელი საბუთი აქვს, არც იმას ვიტყვი თუ რა სთქვა ქ. გძელიშვილმა, ვინაიდან ერთი კალმის მოსმით ყველაფრის დაწერა არ შეიძლება, და როდესაც პასუხს მივიღებ მაშინ კი მოგახსენებთ.

„ონა“.

რედაქტორი თედო ღლონტი.
გამომცემი დრ. მთავარი კომიტეტისა.

**დაიკარგა** კოოპერატივ „მეურნის“ წიგნაკი ქიშვარდი ჯაფარიძის სახელზე, რაც უნდა ჩაითვალოს გაუქმებულად.
694

სტამბა „სახალხო საქმე“ კოლონტარების ქუჩა № 14. ს. ფ. ს. ც.